ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N49

ქ.თბილისი

24 დეკემბერი, 2024 წელი
11^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
მარიამ გელაშვილი
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ანა კილაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
შალვა ოგბაიძე
ვიტალი ონიანი
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე
თამარ ჩახვაშვილი
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლები.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და მიმართა მათ, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ჭავჭავაძის გამზირზე ხანძრის ჩაქრობის დროს გარდაცვლილი მეხანძრე-მაშველი გიორგი ლელაშვილისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო გიორგი ლელაშვილის ხსოვნას. გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ გასული წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე საკრებულოს წევრები მოისმენენ თბილისის მერის წლიურ ანგარიშს და იმსჯელებენ 2025 წლის ბიუჯეტზე, რომელიც არის უპრეცედენტოდ მაღალ ნიშნულზე და კიდევ გაიზრდება იანვარში, რაც არის იმის გარანტი, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო დატვირთული იქნება ჩვენი ქალაქის განვითარების მიმართულებით. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა";

მომხსენებელი: კახა კალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: კახა კალაძე

თანამომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა". ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, კახა კალაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, დედაქალაქის მოსახლეობას და განაცხადა, რომ მიიწურა გამოწვევებით სავსე 2024 წელი, რომელმაც, უდიდესი ზეწოლის, გარე თუ შიდა ძალების მიერ მოწყობილი პროვოკაციების და ქვეყანაში არეულობის დათესვის მცდელობის მიუხედავად, მოგვიტანა თვალსაჩინო შედეგები, როგორც დედაქალაქის, ასევე, ქვეყნის განვითარების კუთხით. ბუნებრივია, ყველასთვის კარგი იქნებოდა, რომ დღეს გვესაუბრა მხოლოდ და მხოლოდ მიღწეულ შედეგებზე, განხორციელებულ პროექტებსა და საქმეებზე, თუმცა, გვერდს ვერ ავუვლით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და იმას, რომ არ შევაფასოთ ბოლო დღეების განმავლობაში დედაქალაქში მიმდინარე მოვლენები. მისი თქმით, ის, რაც ქვეყანაში ხდებოდა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ, იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელიც არ დაწყებულა დღეს ან გუშინ, წლებია მზადდება ნიადაგი ამ ყველაფრისთვის და განსაკუთრებით გაძლიერდა უკრაინაში დაწყებული მოვლენების შემდეგ, როდესაც უცხო ძალებს გაუჩნდათ ინტერესი, რომ საქართველო გამოყენებულიყო მათი ინტერესების პოლიგონად. „ქართული ოცნების" ხელისუფლება, რომელიც უარს აცხადებდა საქართველოს დასუსტების და, უფრო მეტიც, განადგურების ხარჯზე, შეესრულებინა ე.წ. მეგობრების მითითებები, მიუღებელი აღმოჩნდა მათთვის. ჩვენს ქვეყანაზე და ხელისუფლებაზე ხორციელდებოდა უპრეცედენტო ზეწოლა, რათა გვემოქმედა არა ჩვენი ქვეყნის და მისი მშვიდობიანი ინტერესების მიხედვით, არამედ, სხვა, დიდი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, რაც აშკარა რისკებს უქმნიდა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და დღეს, პირდაპირ შეიძლება ითქვას - ჩვენ რომ დაგვეშვა შეცდომა და გადაგვედგა არასწორი ნაბიჯი, ქვეყნისთვის იქნებოდა სრული კატასტროფა. „ქართული ოცნების" ლიდერები, ყველა ეტაპზე,

გამოვდიოდით და მოსახლეობას ღიად ვეუბნებოდით, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა ქვეყანაში და რა გამოწვევების წინაშე ვიდექით. ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა გამოავლინა მაღალი პასუხისმგებლობა, პოლიტიკური სიმწიფე და მთელ მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ პრინციპულები ვართ და ვიქნებით ყოველთვის, როდესაც საქმე ეხება საკუთარი ქვეყნის და სახელმწიფოს დაცვას. განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობამ სწორად აღიქვა ხელისუფლების პოზიცია, სრულად გაიაზრა, თუ რა გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა და საპარლამენტო არჩევნებზე კიდევ ოთხი წლით მოგვანდო ქვეყნის მართვა. მან მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მიიღო სწორი გადაწყვეტილება და ასევე, საკრებულოს უმრავლესობის წევრებს, ამ გამარჯვებაში შეტანილი წვლილისთვის. მისი თქმით, ზეწოლა დღესაც გრძელდება, ბევრს აქვს სურვილი, არჩევანი წაართვას ქართველ ხალხს და ხელისუფლება არა თავისუფალ, კონკურენტულ არჩევნებში გამარჯვებულ ძალას, არამედ, მათ მიერ ხელდასმულ და ქართველი ხალხის მიერ უარყოფილ ძალებს გადასცენ, რაც არ და ვერ მოხდება, საქართველოს ეროვნული ინტერესები არ დაითმობა და ხელისუფლება იდგება იქ, სადაც სჭირდება ქვეყანას და მის ხვალინდელ დღეს. კახა კალაძემ განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას" არ გადაუხვევია ევროპული გზიდან და არის ზუსტად ის ძალა, რომელმაც ყველაზე მეტად დაგვაახლოვა ევროპასთან, ყველა წინგადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე, უკავშირდება „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს. ცხადია, ჩვენ გვინდა ევროპა, თუმცა, ეს არავის აძლევს უფლებას, მოახდინოს ამ მიზნის ვიწროპოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ შანტაჟის იარაღად გამოიყენოს ისევე, როგორც ეს ხდებოდა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღების დროს. კახა კალაძემ რიტორიკული კითხვით მიმართა საზოგადოებას: „ეს არის ევროპული სამართლიანობა? და განაცხადა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არის პრემიერ-მინისტრის 28 ნოემბრის განცხადება, როდესაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მთელი პასუხისმგებლობა დაეკისროს ევროკავშირის უწყებებს და ღიად ვთქვით, რომ მხოლოდ და მხოლოდ მათზეა დამოკიდებული მოლაპარაკებების გახსნის ბედი, რაც არ უნდა იქცეს პოლიტიკური სპეკულაციების თემად. რა თქმა უნდა, მათ თავისუფლად შეუძლიათ გახსნან მოლაპარაკებები, საქართველოს ხელისუფლება კი მზად არის ხელი მოაწეროს აღნიშნულ დოკუმენტს, თუმცა, კატეგორიულად მიუღებელია ამ თემით მუდმივი შანტაჟი და მანიპულაციები. მისი თქმით, ამ შემთხვევაში ისმის კითხვა: „მაშინ რამ გამოიწვია აქციების ტალღა?" ეს არის ისევ და ისევ იმ გეგმის ნაწილი, რომელიც წინასწარ გათვლილი და დაკვეთილი იყო არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის. კახა კალაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების" საარჩევნო დაპირება მოსახლეობის პრიორიტეტების გამოძახილია - მშვიდობა, კეთილდღეობა, ღირსეული ევროპული მომავალი. სწორედ ამიტომ გვენდო კიდევ ერთხელ საქართველოს მოსახლეობა, რასაც ჩვენ „თვალისჩინივით" ვუფრთხილდებით და არავის მივცემთ უფლებას, ფეხქვეშ გათელოს ჩვენი ხალხის უდიდესი ნაწილის არჩევანი. არჩევნები შედგა და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, მილიონ ას ოცი ათასმა ამომრჩეველმა, ხმა მისცა „ქართულ ოცნებას". ჩვენ ვნახეთ ეუთო/ოდირის ანგარიში, რომელიც იმეორებს წინასწარი ანგარიშის ძირითად დასკვნას, რომ 26 ოქტომბერს ამომრჩეველს ჰქონდა ფართო არჩევანი, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს შეეძლოთ არჩევანის თავისუფლად წარმოება; შექებულია ცესკო არჩევნების კარგად ორგანიზებისა და ადმინისტრირებისთვის; ხაზგასმულია წინაასარჩევნო კამპანიის მშვიდი გარემო. რასაკვირველია, არის გარკვეული შენიშვნები როგორც ჩვენი, ასევე, ოპოზიციური პარტიების მისამართით, თუმცა, მნიშვნელოვანია ის, რომ ეუთო/ოდირის მისია გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს საქართველოს არჩეულ ხელისუფლებასთან და, რა თქმა უნდა, ჩვენც მზად ვართ, რომ მომდევნო წლების განმავლობაში გამოსწორებული იყოს დღეს არსებული შენიშვნები. ამ დროს კი რუსთაველის გამზირზე ვხედავთ, რომ კარგად ორგანიზებული რადიკალური ჯგუფები, ექსტრემისტული ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები, რომელთა ლიდერად გარე ძალებმა დანიშნეს სალომე ზურაბიშვილი, ზიზღით, აგრესიით და ბულინგით თავს ესხმიან ყველას, ვისაც უნდა მშვიდობა, ქვეყნის განვითარება და მისი ევროპული მომავალი. ამასთანავე, სოციალურ ქსელებში, სოკოებივით მომრავლებული ათასგვარი გაურკვეველი ჯგუფები ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის

ფორმირებას, რაც არ გამოსდით და ამიტომ, ძალადობით, ლანძღვა-გინებით თავს ესხმიან ყველას და ყველაფერს, აბულინგებენ მეწარმეებს, ხელოვანებს, სპორტსმენებს, მეცნიერებს, სტუდენტებს, ბებია-ბაბუებს, სკოლებში უვარდებიან მცირეწლოვან ბავშვებს, აწარმოებენ სიძულვილის კამპანიას, აქვთ განსხვავებული აზრის სრული მიუღებლობა, რაც, მისი თქმით, რევოლუციური სცენარის ჩვეულებრივი ნაწილი და „ლიბერალური ფაშიზმია". საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანაში დაასრულოს ფაშიზმი და ის მდგომარეობა, რაც გვაქვს ამ კონკრეტული ძალადობის სახით, რომ თუ გაქვს განსხვავებული აზრი, ხარ მტერი, „რუსეთუმე" და ა.შ. კახა კალაძემ განაცხადა, რომ სიძულვილით არავის გაუმარჯვია, ყველა ეს მცდელობა ფუჭი და დროებითია. უახლესი ისტორიიდან ვიცით, თუ რა მოუტანა საქართველოს სამოქალაქო დაპირისპირებამ, რისკენაც ისწრაფვიან ჩვენი გარე თუ შიდა მტრები და ეს, რა თქმა უნდა, დამღუპველი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ. დღეს სახელმწიფო ძლიერია, ასევე, ძლიერია ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი და, რაც მთავარია, დღეს ხელისუფლება სარგებლობს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერით და თანადგომით. თბილისის მერმა მადლობა გადაუხადა თითოეულ საჯარო მოხელეს, პედაგოგს, მეწარმეს თუ რიგით მოქალაქეს, ვინც ამ რთულ პერიოდში იჩენს მაღალ სამოქალაქო პასუხისმგებლობას და შეგნებას - ვემსახუროთ საკუთარ საქმეს და ქვეყანას კეთილსინდიერად, ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღისთვის, მისი ევროპული მომავლისთვის, რომელიც აუცილებლად დადგება. კახა კალაძემ ისაუბრა 2024 წელს განხორციელებულ პროექტებზე და გაკეთებულ საქმეებზე, რომელთა ჩამონათვალიც, მისი თქმით, ძალიან დიდია და იქიდან გამომდინარე, რომ ყველაფერზე საუბარს დღევანდელი დღე არ ეყოფა, ისაუბრებს ძირითად ნაწილზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი დედაქალაქისთვის: ინფრასტრუქტურის მიმართულებით, დედაქალაქში მოწესრიგებული გზების ფართობი შეადგენს 1253000 კვ.მ.-ს; რეაბილიტირდა 972 ქუჩა, გამზირი, აღმართი და ხიდი; კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 57 ქუჩაზე, ხოლო ორმოული შეკეთების სამუშაოები - 926 ობიექტზე. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად გაწეული ხარჯი შეადგენს 95000000 ლარს და გარდა ამისა, 7.4 მილიონი ლარი მიმართული იყო ავარიული შენობა-ნაგებობების გასამაგრებლად, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 33 შენობა-ნაგებობის გამაგრებითი სამუშაოები; საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის დაიხარჯა დაახლოებით 43000000 ლარი, მათ შორის, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები იყო: წერეთლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები, უნივერსიტეტის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თამარაშვილის გამზირისა და ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის კვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობა, წყნეთის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოები, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მოწყობა, გახოკიძის და ბურჯანაძის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება, უნივერსიტეტისა და ქავთარაძის ქუჩების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს გვირაბის მოწყობა. 45 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე განხორციელდა გამწვანების სამუშაოები და იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ქალაქს ძალიან სჭირდება რეკრეაციული სივრცეები, აღნიშნული მიმართულება ერთ-ერთი პრიორიტეტულია თბილისის მუნიციპალიტეტისთვის. სხვადასხვა გამზირების რეაბილიტაციის ფარგლებში, გამწვანდა გზის მიმდებარედ არსებული თარგები, მოეწყო ახალი, გამწვანებული კუნძულები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 581 პარკს, სკვერსა და სპორტულ მოედანს; ზღვის უბანში, 25 ჰექტარზე, დასრულდა საქალაქო მნიშვნელობის ახალი პარკის მოწყობის სამუშაოები; დედაქალაქის მასშტაბით, პარკებში, სკვერებში, ურბანულ სივრცეებსა და თბილისის გარშემო არსებული ტყის ფართობზე ჯამში დაირგო 74393 ძირი სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი; სანიტარული ჭრის ფარგლებში მოიჭრა 27707 ძირი დაავადებული, ხმელი და ზეხმელი ხე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ტყის ფართობების შენარჩუნების კუთხით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროექტში ჯამში დაფინანსდა 1932 განაცხადი, რაზეც დაიხარჯა 45000000 ლარი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა განახორციელა 29 პროგრამა და 300000-ზე მეტი მოქალაქის 500000-ზე მეტი მოთხოვნა დააკმაყოფილა. კახა კალაძემ აქვე აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტშიც

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯანდაცვისა და სოციალურ მიმართულებებს და მუნიციპალიტეტი ყოველთვის გვერდით დაუდგება იმ ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებენ თანადგომას და მხარდაჭერას. სპორტის მიმართულებით, თბილისის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა 250-მდე სპორტული ღონისძიება; განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობა მიიღო 78300-მდე ბენეფიციარმა; დაფინანსდა 44 სპორტული ორგანიზაცია და ფედერაცია, სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების შესაძენად; ინვენტარითა და ეკიპირებით სარგებლობს 6500-მდე ბენეფიციარი; 2022 წელს დაიწყო და წარმატებით გრძელდება პროგრამა „სპორტი უფროსი თაობისთვის", რომლის ფარგლებშიც 60 წლის და 60 წელს გადაცილებული ადამიანები უფასოდ სარგებლობენ მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურით; 2024 წელს, დასრულდა და გაიხსნა: დიდ დიღომში II მ/რ-ში, 198-ე საბავშვო ბაღის მიმდებარედ, თავდადებულის N18ა-ში, მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი; ლადო ასათიანის ქ.N50-ში მდებარე სპორტული დარბაზი; ვაზისუბნის დასახლებაში და დიდი დიღმის IV მ/რ-ში ღია ტიპის სკეიტმოედნები; ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სამი პადელის მოედანი; ვაზისუბნის დასახლებაში, ფეხბურთის მოედანი; დასრულების ეტაპზეა ვარკეთილის III მ/რ-ს მიმდებარედ, მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც, დასრულდება სავარაუდოდ მომავალ წელს; ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 350 მწვრთნელს, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს; სპორტის 32 სახეობაში, ყოველთვიურად ფინანსდება 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული 250-მდე წარმატებული სპორტსმენი ბავშვი; მიმდინარე წელს, 2023 წლის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის, დაჯილდოვდა 115 თბილისელი სპორტსმენი და ასევე, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა ოთხი ქალთა გუნდი; 2024 წლის ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 188 თბილისელი სპორტსმენი და ასევე, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა ხუთი ქალთა გუნდი და ერთი ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი. განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით გაგრძელდა მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელება: როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური განათლების, დასვენების, გართობისა და სარეკრეაციო ღონისძიებების მიმართულებებით განხორციელდა 100-ზე მეტი პროექტი; სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, დაფინანსდა სოციალურად დაუცველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი 5300-ზე მეტი სტუდენტი; 600-ზე მეტ წარმატებულ მაგისტრანტს, ფინანსური წახალისების მიზნით, გამოეყო კონკრეტული თანხები; გრძელდება მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ადამიანებს კვალიფიკაციის ამაღლებაში და დასაქმებაში - მიმდინარე წელს 65-მდე პროფესიულ სპეციალობაში ჩაერთო 2000-ზე მეტი მოქალაქე. ახალგაზრდების ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობისა და დასვენების, რეკრეაციისა და გართობის მიზნით, ხორციელდება საზაფხულო და ზამთრის ახალგაზრდული პროგრამები, მათ შორის, საზაფხულო პროგრამების ფარგლებში, 2000-მდე ახალგაზრდა ჩაერთო მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტივობებში; ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია, რომლის ორი ეტაპი უკვე დასრულდა, ხოლო 2025 წელს დაგეგმილია სამუშაოების ბოლომდე დასრულება; მიმდინარე წელს დასრულდება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სრული სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები და აღნიშნული ფილიალი განახლებული ინფრასტრუქტურით განაგძობს ფუნქციონირებას. კულტურის სფეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე პერიოდისთვის დაფინანსდა 230-მდე პროექტი, მათ შორის, მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სპექტაკლები, საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფესტივალები, საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ეთნიკური უმცირესობის მიმართულებით გაცვლითი, საკონკურსო და სხვა ტიპის პროექტები. მიმდინარე წელს, კულტურის სფეროს განვითარების

მიმართულებით განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები: დასრულდა თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; ცხრამეტი სკოლისთვის შეძენილია სხვადასხვა ინვენტარი და ინსტრუმენტები, თოთხმეტ ხელოვნების სკოლაში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები; დასრულდა მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ექსპოზიციის მომზადება და 2025 წლისთვის უკვე მთლიანად დასრულებული იქნება; დასრულდა სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმისთვის გამოყოფილი ფართის სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში მოწესრიგდა დარბაზი და ფოიე, გამოიცვალა პარტერის სკამები და სცენის ფარდა; განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების N21 ფილიალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; აღიჭურვა თემქის ხევში მდებარე ახალი მედიათეკის შენობა; მიმდინარე წლის განმავლობაში, საჯარო ხელოვნების ფონდმა განახორციელა სამი მნიშვნელოვანი პროექტი. კახა კალაძემ ისაუბრა დაუმთავრებელ მშენებლობებზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია აქტიურად აგრძელებს მუშაობას და 2018 წლიდან დღემდე, დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილებისა და მათი საცხოვრისი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 70-ზე მეტი სამშენებლო ობიექტის პრობლემატიკის შესწავალა და მხარდამჭერი ღონიძიებების განსაზღვრა, რომლის ფარგლებში, დაკმაყოფილებული იქნა 14000 ოჯახი. დღეს აქტიური მუშაობა მიმდინარეობს კომპანია „ათორთან", მასთან დაკავშირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც, უკვე მიღებულია გადაწყვეტილებები დაზარალებული პირების მიმართ ვალდებულებების შესრულების შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრისთვის და მშენებლობების ფარგლებში, დაკმაყოფილებული იქნება 300-ზე მეტი ოჯახი. ისაუბრა ბაგა-ბაღების მიმართულებით არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა: თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, 2024 წელს, მოემსახურა 60000-მდე აღსაზრდელს; 190 საბავშვო ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელს 15%-ით გაეზარდა სახელფასო ანაზღაურება და აქვე განაცხადა, რომ ხელფასების ზრდა, რა თქმა უნდა, იქნება მომავალ წელსაც; აშენდა და გაიხსნა 5 ახალი საბავშვო ბაღი და დასრულდა 2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის მასშტაბური პროექტი, რაშიც, საერთო ჯამში, დაიხარჯა 32000000 ლარი; დღეის მდგომარეობით, დაწყებულია 5 ახალი ბაღის სამშენებლო სამუშაოები და 2 ბაღს უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები; 2024 წელს გაიზარდა სოციალური პროექტის „საზაფხულო ბაღები" მასშტაბი და დედაქალაქს 45-ის ნაცვლად, მოემსახურა 50 ბაღი, რომლებმაც ჯამში მიიღეს 118000-მდე აღსაზრდელი; მიმდინარე წელს, ასევე, გაფართოვდა ჰუმანიტარული პროექტი უკრაინელი ბავშვებისთვის, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად და N1 და N93 საბავშვო ბაღების შემდეგ, სასკოლო მზაობის ჯგუფები გაიხსნა ახლადგახსნილ N30 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში, რის შედეგადაც 100-მდე ბავშვი ყოველდღიურად სარგებლობს უკრაინის ეროვნული სასკოლო მზაობის პროგრამით, ხოლო N1 საბავშვო ბაღში მოქმედი საბავშვო სივრცეების პროექტით ისარგებლა 1000-ზე მეტმა უკრაინელმა ბავშვმა და ეს რაოდენობა მზარდია. 2024 წელს, „თბილსერვის ჯგუფის" ავტოპარკის განახლების ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა, ბიუჯეტიდან შეისყიდა სხვადასხვა დანიშნულების 39 ერთეული სპეცმანქანა, რაშიც დახარჯული იქნა დაახლოებით 6520000 ლარი, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, შეიძინა 65 ერთეული სხვადასხვა ტიპის სპეცმანქანა; ასევე, იბიარდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, დაიწყო ბელიაშვილის ქუჩაზე არსებული ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის რეაბილიტაციის სამუშაოები; იბიარდის სესხის ფარგლებში, იგეგმება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი - დიდ ლილოში არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნაჟური წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რაც მოაგვარებს ამ კუთხით დღეს არსებულ პრობლემებს. კახა კალაძემ აქვე აღნიშნა, რომ შესაბამისი საპროექტო და სამშენებლო ტენდერის პირველი ეტაპი სრულდება 2025 წლის იანვარში, მეორე ეტაპის

შემდეგ, გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია, ხოლო ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაწყება დაგეგმილია მომავალ წელს და ეს მიმართულებაც მთლიანად იქნება მოწესრიგებული; „თბილსერვის ჯგუფმა“ განახორციელა ოთხი მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობა: გმირთა მოედანზე, კოსტავას ქუჩაზე (ტელევიზიასთან), ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ასათიანის ქუჩის კვეთაზე და რობაქიძის გამზირზე (მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარედ); ამ ეტაპზე მიმდინარეობს კიდევ ერთი მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია, რომელიც მდებარეობს კახეთის გზატკეცილზე, „ლუკოილის“ ბენზინგასამართ სადგურთან. თბილისის მერმა ისაუბრა ურბანული წესრიგის დაცვაზე და სამშენებლო საქმიანობის კონტროლსა და ზედამხედველობაზე, რაც, მისი თქმით, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში შესწავლილი იქნა 1247 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე და გამოიცა შესაბამისი დაჯარიმების დადგენილება, რომლის ფარგლებშიც საჯარიმო სანქციების ჯამურმა თანხამ შეადგინა 25150000 ლარი, ხოლო უნებართვო მშენებლობისა და სანებართვო და უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის შეჩერებული იქნა 501 სამშენებლო ობიექტი და დარღვევების გამოსწორების შემდეგ, ძალადაკარგულად გამოცხადდა 72 შეჩერების დადგენილება. აქვე აღნიშნა, რომ ყველას ახსოვს, თუ რა მდგომარეობა იყო ამ მიმართულებით დედაქალაქში და მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტმა მიმართა შესაბამის ზომებს და საკანონმდებლო დონეზე გაამკაცრა მიდგომები, რადიკალურად შეიცვალა ვითარება, რაც მისასალმებელია. ასევე, პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწების მითვისების აღკვეთა და მათზე განხორციელებული უკანონო მშენებლობის დემონტაჟი და ამ მიზნით, მუნიციპალურმა ინსპექციამ განახორციელა სპეციალური ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც გამოათავისუფლა 100000 კვ.მ.-ზე მეტი უკანონოდ დაკავებული მიწის ნაკვეთი. პრიორიტეტული მიმართულება არის სამშენებლო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება და აღსანიშნავია, რომ 2024 წელს გაიზარდა როგორც მომართვიანობა, ასევე, მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების მაჩვენებელი - 60%-ით მეტი ობიექტი მიიღო ექსპლუატაციაში მუნიციპალურმა ინსპექციამ, კერძოდ, 1038 სამშენებლო ობიექტი, ხოლო შესწავლის პროცესშია 243 განაცხადი. წლების განმავლობაში, მშენებლობის დროს არსებული დარღვევების გამო, პრობლემას წარმოადგენდა გარკვეული სამშენებლო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების საკითხი, თუმცა, 2022-24 წლებში მუნიციპალიტეტს გამოცხადებული ჰქონდა ამნისტია, რომლის ფარგლებშიც შემოვიდა 1859 განაცხადი, რომელთაგან 729-ს გაეცა შუალედური პასუხი, ხოლო ექსპლუატაციაში მიღებულია 845 სამშენებლო ობიექტი, რის შედეგადაც 30000-მდე ოჯახს მიეცა შესაძლებლობა მიიღოს უფლებრივად უნაკლო უძრავი ქონება, მათ შორის, მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებს მიეცათ შესაძლებლობა შექმნან ამხანაგობები და ისარგებლონ მუნიციპალური პროგრამებით და თვითონ განსაზღვრონ პრიორიტეტები, მიიღონ გადაწყვეტილებები, თუ რისი გამოსწორება და გაკეთება სურთ თავიანთ საცხოვრებელ კორპუსში. კახა კალაძემ ისაუბრა კონკრეტულ პროექტებზე და აღნიშნა: დასრულდა რუსთაველის გამზირის და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია; რიყე-ნარიყალას საბაგირო გზას ჩაუტარდა კაპიტალური შეკეთება; მუნიციპალიტეტმა დამატებით შეისყიდა 40 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსი და 2025 წლისთვის მთლიანად უნდა იყოს შემოყვანილი ის 200 ერთეული, რაც არის შეძენილი; დასრულდა მეტროსადგურ ავლაბრის ზედა ვესტიბიულის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გამოცხადდა ტენდერი თორმეტი მეტროსადგურის კონცეპტუალური დიზაინის შესყიდვაზე, რაც საფუძვლად დაედება დეტალური დიზაინისა და სარეაბილიტაცო სამუშაოების განხორციელების ტენდერს, რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ საერთაშორისო კომპანიებმაც მიიღონ მონაწილეობა მეტროსადგურების რეაბილიტაცია-განახლების სამუშაოებში; გამოცხადდა ტენდერი თანამედროვე სტანდარტის 97 ერთეული ახალი ვაგონის შესაძენად, რაშიც დახარჯული იქნება დაახლოებით 200000000 ევრო; მიმდინარე წელს, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, დამონტაჟდა 68 ახალი შუქნიშანი და ამ მიმართულებით დაიხარჯა ათ მილიონზე ცოტა მეტი; მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, 2024 წლის თებერვალში დასრულდა აღმოსავლეთ-დასავლეთის შეკავშირებულობის კვლევა, რომელმაც

დააიდენტიფიცირა დადიანის ქუჩასა და სადგურის მოედანს შორის ხიდი - რკინიგზის ორი მხარის დაკავშირების საუკეთესო ალტერნატივა, რომელთან დაკავშირებითაც 2025 წელს მიღებული იქნება კონკრეტული გადაწყვეტილებები; თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს შორის შემდგარი შეთანხმების მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის დანერგვა-მოდერნიზაციას, დასრულდა კვლევითი სამუშაოები, 2024 წლიდან დაიწყო საბოლოო დიზაინის შექმნა გონიერი სატრანსპორტო სისტემის ტექნიკურ დეტალებზე, რის შემდეგაც მოხდება ეტაპობრივი შესყიდვები და დანერგვის სამუშაოების განხორციელება, რომლის დასრულება იგეგმება 2026 წელს, ხოლო რაც შეეხება ღირებულებას, პროექტის განხორციელებისთვის, გამოყოფილია 47000000 ევრო; თბილისის ტერიტორიაზე, ავტობუსის ზოლში სიარულის უფლება მიეცათ მსუბუქი ავტომანქანით (ტაქსით) გადაყვანის A კატეგორიის მქონე სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი სანომრე ნიშნები და ასევე, მოპედებს და მოტოციკლებს, გარდა სამთვლიანისა; ოთხ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით, მიეცა ავტობუსის ზოლში გადაადგილების უფლება; 2022 წელს დაიწყო უპრეცედენტო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უსახლკაროთა სტატუსის მქონე ოჯახებისთვის ბინების გადაცემას სარგებლობის უფლებით და ამ პროგრამის ამოქმედების შედეგ, 2022 წელს შესყიდული იქნა 56 ბინა და შესაბამისად დაკმაყოფილდა 56 ოჯახი, 2023 წელს - 38 ბინა და 2024 წელს - 33 ბინა, რაშიც თბილისის ბიუჯეტიდან დაიხარჯა: 2022 წელს - 5000000 ლარი, 2023 წელს - 3000000 ლარზე ცოტა მეტი, ხოლო 2024 წელს - 4000000 ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სამი წლის განმავლობაში შესყიდულია ჯამში 127 ბინა და განკარგულია 12000000 ლარზე მეტი. თუმცა, მიუხედავად განხორციელებული პროექტისა, დედაქალაქში მაინც რჩებიან უსახლკარო ოჯახები და თბილისის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ეს ადამიანები, რათა მიღწეული იქნას მიზანი - დედაქალაქში არ იყოს არცერთი უსახლკარო ოჯახი; 2024 წელს, საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა 204 ოჯახს, ხოლო 2017 წლიდან დღემდე - 3010 ოჯახს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თბილისში უამრავი ისეთი ოჯახია, რომელიც წლების განმავლობაში ვერ ახერხებდა იმ ფართების დაკანონებას, სადაც ცხოვრობდნენ; 2023 წლის ივნისში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თბილისის მუნიციპალიტეტის 12 გეოგრაფიულ არეალში დაიწყო სისტემური რეგისტრაციის პროექტი, რომელიც სრულდება მიმდინარე წლის ბოლოს და რომლისთვისაც თბილისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 8000000 ლარი. დღეის მდგომარეობით, თანხმობა გაცემულია დაახლოებით 18600 სარეგისტრაციო წარმოებაზე, თუმცა, მუნიციპალიტეტის მიზანია, რომ სრულად დაკმაყოფილდეს ის მომართვიანობა, რაც იყო, დაახლოებით 27000 და ამ ოჯახებზე მოხდეს ფართების დაკანონება; 2024 წელს, თბილისის მერიამ დაიწყო ხუთი ახალი სამშენებლო პროექტი, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, გამოცხადდა ხუთი ინტერესთა გამოხატვა, რომელთაგან სამი ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში გაფომებულია ხელშეკრულებები და დაკმაყოფილებული არიან კოოპერატივის წევრები, ერთზე მიმდინარეობს დასაკმაყოფილებელი პირების სიის ფორმირება, ხოლო ერთი ინტერესთა გამოხატვა მიმდინარეა და სრულდება 2024 წლის 27 დეკემბერს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2024 წელს დაკმაყოფილდა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 390 პირი, ერთი ინტერესთა გამოხატვა დასრულებულია და მიმდინარეობს კოოპერატივის დამატებით 50 წევრის დაკმაყოფილების პროცესი და ასევე, მიმდინარე ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში დაკმაყოფილდება დამატებით დაახლოებით 350-მდე პირი. რაც შეეხება კოოპერატივის წევრებისთვის გადაცემული ფართის ჯამურ ოდენობას, ის შეადგენს დაახლოებით 40900 კვ.მ.-ს, ხოლო მიმდინარე ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი მინიმალური ფართი შეადგენს დამატებით დაახლოებით 24000 კვ.მ.-ს. აქვე აღნიშნა, რომ ყველამ კარგად იცის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც დაახლოებით 240000000 დოლარზე მეტი იხარჯება, ხოლო რაც შეეხება დაზარალებულების რაოდენობას, პროექტის განხორციელების შედეგად ჯამში

დაკმაყოფილებულია 2463 ოჯახი; 2023 წელს ვარკეთილის მე-3 მასივში დაიწყო ორი ავარიული კორპუსის ჩანაცვლების პროგრამა, რომლის ფარგლებში, ახალი ბინები და რემონტისთვის საჭირო თანხა გადაეცა ორმოცდაერთ ოჯახს, 2024 წელს შვიდ ოჯახს გადაეცა 135850 ლარი, ხოლო ჯამურად, ორი წლის განმავლობაში, რემონტისთვის 760000 ლარი გადაეცა ორმოცდარვა ოჯახს. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება იყო „ქართული ოცნების" ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება, რომელზე მუშაობასაც მუნიციპალიტეტი აქტიურად შეუდგა 2022 წლიდან და დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს, რისი დასტურია, გასულ წელთან შედარებით პროექტის მასშტაბების ზრდა რამდენიმე მიმართულებით: ავარიული სახლების პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის მანძილზე ათვისებული თანხების ჯამური მოცულობა შეადგენს 7000000 ლარზე მეტს, რაშიც შედის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ამ მიმართულებით, პირველ საპილოტე პროექტში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, VII კვარტალი, მე-12 კორპუსში, ოთხსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად, ახალი, ათსართულიანი, თანამედროვე კორპუსი აშენდა, დასრულებულია სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები და ოცდათექვსმეტ ოჯახს დაგაეცა გარემონტებული საცხოვრებელი ფართები. დაპირებისამებრ, სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია კიდევ სამ მისამართზე: ვერკეთილის დასახლებაში, კალოუბნის ქუჩაზე, სადაც ოცდაცხრა ოჯახი ელოდება ბინას; ვარკეთილის მე-3 მასივში, IV კვარტალი, VI კორპუსში მიმდინარეობს აქტიური სამშენებლო სამუშაოები, სადაც განხორციელდა ოთხსართულიანი ავარიული შენობის დემონტაჟი; სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს საბურთალოს რაიონში, გამრეკელის პირველ შესახვევში, N6-ში, სადაც გარემონტებული ბინა გადაეცემა ცხრამეტ ოჯახს. ამ მიმართულებით თბილისის მერია აქტიურად მუშაობს და დაგეგმილი აქვს კონკრეტული პროექტების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებისთვის დაიწყება დემონტაჟის სამუშაოები სამგორის რაიონში შუამთის ქუჩაზე და ნაძალადევის რაიონში ჩარგლის ქუჩაზე, ნაგომარის ქ.N47-ში და მუხრანის ქ.N9-ში. ამასთანავე, მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განახლება-რეაბილიტაციის პროექტი, რომელშიც ჩართულია „თბილისის განვითარების ფონდი" და ბიზნესს ეძლევა შესაძლებლობა, რომ ქალაქის სხვა რომელიმე კონკრეტულ უბანში განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები კოეფიციენტის გადამეტებით, ხოლო ის თანხები, რაც უნდა გადაიხადოს კოეფიციენტის მატებაში, მიმართული იქნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობების სარეაბილიტაციოდ ან, თუნდაც, პროექტის თავიდან განსახორციელებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ამასთანავე, ძველ თბილისში მაცხოვრებელ ოჯახებს დაეხმარება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. კახა კალაძემ ისაუბრა მომდევნო წლის გეგმებზე და განაცხადა, რომ ქალაქის აღმშენებლობა და განვითარება არის შეუქცევადი პროცესი და ამიტომ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მომავალ წელსაც გავაგრძელოთ იგივე ტემპი. სამწუხაროდ, დედაქალაქში არის უამრავი პრობლემა და გამოწვევა, თუმცა, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ღირსეულად ვუპასუხოთ მათ, რის შესაძლებლობასაც გვაძლევს მომავალი წლის ბიუჯეტი, რომლის მოცულობაც, სიპ-ების ა(ა)იპ-ების, საკუთარი შემოსავლების, გარდამავალი ნაშთისა და სესხების ჩათვლით, მიაღწევს 2555000000 ლარს. აქვე აღნიშნა, რომ 2017 წლის არჩევნების დროს, როდესაც დღევანდელი გუნდი მოვიდა თბილისის მთავრობის შემადგენლობაში, 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 815000000 ლარს, თუმცა, დღეს არის აბსოლუტურად სხვა ციფრები და პრემირ-მინისტრს, მთავრობას და ფინანსთა სამინისტროს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, რომლის გარეშე შეუძლებელია მომდევნო წლის განსახორციელებელ პროექტებზე და შესასრულებელ სამუშაოებზე საუბარი. საუბრის ბოლოს განაცხადა: „მე ზუსტად ვიცი, რას და რატომ ვაკეთებ ამ ქალაქისთვის, ზუსტად ვიცი, რას და რატომ აკეთებს ჩვენი გუნდი ამ ქვეყნისთვის და ზუსტად ვიცი, ისტორია ამას სწორად შეაფასებს მიუხედავად იმისა, ვინ რა ეპითეტებით ვამკობთ დღეს ერთმანეთს და რა განცხადებებს გავაკეთებთ ერთმანეთის მიმართ... ეს ყველაფერი ჩაივლის, ყველაფერი იმაზე მალე დალაგდება, ვიდრე ბევრს ჰგონია და საქართველო ძალიან მალე, წელში გამართული, მშვიდობიანი და ბევრად

უფრო ძლიერი შეაღებს ევროპის კარს. საქართველო იქნება ევროპის ნაწილი, თბილისი იქნება ნამდვილი ევროპული დედაქალაქი". კახა კალაძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და საქართველოს მოსახლეობას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და მშვიდობა, გამარჯვება და კეთილდღეობა უსურვა.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს საინტერესო და ამომწურავი მოხსენებისთვის. მადლობა გადაუხადა ასევე, კოლეგებს, თბილისის მთავრობის წევრებს და საკრებულოს ყოფილ დეპუტატებს, ირაკლი ხელაძეს, აკაკი ალადაშვილს და ვლადიმერ ბოჟაძეს, რომლებიც, მისი თქმით, დღესაც საკრებულოს წევრების გვერდით არიან და ესწრებიან მიმდინარე სხდომას. აღნიშნა, რომ 2024 წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ქალაქის განვითარების მიმართულებით, არამედ, ასევე, პოლიტიკური დღის წესრიგით და, რა თქმა უნდა, ძალიან რთული და აბსოლუტურად მიუღებელია, რომ ხელისუფლებას, რომლის პირობებშიც მიღწეულია ყველა წარმატება ევროინტეგრაციის მიმართულებით, დააბრალო, თითქოს, მან გადაუხვია კურსს და განაცხადა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ვერავინ ათქმევინებს უარს ვერც ქართულ ტრადიციებზე და ვერც ევროინტეგრაციის გზაზე. გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა თანამოქალაქეებს 2024 წლის არჩევნებში მხარდაჭერისთვის, რაც, მისი თქმით, მიუღებელი აღმოჩნდა ოპოზიციური პარტიებისთვის და განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყანა, მშვიდობით და ღირსებით, აუცილებლად იქნება ევროპული ოჯახის წევრი და ჩვენი ქალაქი გააგრძელებს იმ განვითარებას, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს ბოლო წლების განმავლობაში. გიორგი ტყემალაძემ, გადაუხადა მადლობა თბილისის მერს და მთავრობის წევრებს იმისათვის, რომ რჩებიან იმ პრიორიტეტების ერთგულები, რომლებიც დასახული იყო 2017 წელს, დღევანდელი გუნდის თბილისის ხელისუფლებაში მოსვლის დროს, რასაც ადასტურებს 2025 წლის თბილისის ბიუჯეტი. აღნიშნა, რომ 2017 წელს თბილისის ბიუჯეტი იყო დაახლოებით 815 მილიონი ლარი, ხოლო დღეს აცდენილია 2 მილიარდს, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, ზოგადად, ბიუჯეტის ზრდის კუთხით და მეორე მხრივ, ეს არის იმ სწორი დაგეგმვის, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის და სწორი მენეჯმენტის შედეგი, რომელიც წლების განმავლობაში ხორციელდებოდა დედაქალაქში. მისი თქმით, შეიძლება ბევრს ვერც კი წარმოედგინა თბილისის დღევანდელი განვითარება მაშინ, როდესაც იყო ამის სურვილი და საუბარი იმაზე, თუ რა და როგორ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, დღეს უკვე რეალობაა აბსოლუტურად განახლებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც წლების განმავლობაში განხორციელდა დედაქალაქში, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ თბილისი არის ევროპული ქალაქი. აქვე აღნიშნა, რომ 2025 წელი ძალიან დატვირთული იქნება იმ პროექტებით, რომლებიც წარმოდგენილია ბიუჯეტში, რა თქმა უნდა, მომავალი წლის განმავლობაში, იქნება ბიუჯეტის ზრდა და მოხარულია, რომ არის ამ პროცესის მონაწილე, რისი შანსიც ჰქონდათ ასევე, ოპოზიციონერ კოლეგებს, რომლებიც არასდროს იღებდნენ მონაწილეობას დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში და სამწუხაროდ, არ არიან ამ პროცესის მონაწილეები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ჩვენი ქალაქის განვითარება გაგრძელდება და ამის ნათელი მაგალითი იქნება, როგორც 2025 წელი, ასევე, მომდევნო წლები. გიორგი ტყემალაძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა კახა კალაძეს წარდგენილი ანგარიშისთვის და სიტყვა გადასცა თბილისის მერის პირველ მოადგილეს ირაკლი ხმალაძეს.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ თბილისის 2025 წლის ბიუჯეტი არის 2455000000 ლარი, რომელიც შედგება საბიუჯეტო შემოსავლებისგან, მათ შორის, სიპ-ების და ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლებისგან, დონორების დაფინანსებისგან და გარდამავალი ნაშთისგან, რომელიც სავარაუდოდ, განისაზღვრება 150000000 ლარის ოდენობით და ეს რამდენიმე კომპონენტი, მომდევნო წლის იანვარში, ცვლილების სახით იქნება ასახული ბიუჯეტში. ისაუბრა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და აღნიშნა, რომ ის შეადგენს

1983000000 ლარს, მათ შორის: გადასახადები - 987000000 ლარი; ქონების გადასახადი - 320000000 ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი - 255000000 ლარი, ხოლო ფიზიკურ პირთა ქონების გადასახდი - 45000000 ლარი, მიწაზე ქონების გადასახადი - 20000000 ლარი; დამატებითი ღირებულების გადასახადი - 667000000 ლარი; გრანტები, რომლებიც მთლიანად შედგება ფინანსთა სამინისტროს სპეციალური ტრანსფერისგან - 594000000 ლარი; სხვა შემოსავლები - 321000000 ლარი, მათ შორის: ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 163000000 ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 60000000 ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 80000000 ლარი; სანქციების, ჯარიმების და საურავების ჯამური პროგნოზი - 115000000 ლარი; არაფინანსური აქტივების კლება, რაც, ძირითადად არის პრივატიზაცია, შეადგენს 80000000 ლარს. აქვე, ისაუბრა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულებაზე გათვალისწინებულია 707000000 ლარის ხარჯი, მათ შორის: გზების მიმართულება - 155000000 ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მათ შორის, ავტობუსების შეძენა - 183000000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები - 86000000 ლარი, ხიდები, კოლექტორები და საყრდენი კედლები - 24000000 ლარი; ავარიული სახლების ჩანაცვლება და გამაგრება - 21000000 ლარი; პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია - 52000000 ლარი; „თბილისის განვითარების ფონდის“ პროექტები - 46000000 ლარი; სპორტული მოედნები, მათ შორის, ვერის ბაღში კორტების რეაბილიტაცია - 11000000 ლარი; ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რომლებიც არის გარდამავალი პროექტები, კერძოდ, წელს დაწყებული პროექტების დასრულება - 14600000 ლარი. ასევე, ისაუბრა მიმდინარე ხარჯებზე და აღნიშნა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების/ბაღების სუბსიდია შეადგენს 218000000 ლარს; ტრანსპორტის სუბსიდია განისაზღვრება 396000000 ლარით; დასუფთავების ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 185000000 ლარი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მიმართულებით პროექტების და პროგრამების ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 533000000 ლარს. 2025 წელს, დონორების დაფინანსებით, განხორციელდება 100000000 ლარის პროექტები, მათ შორის: მდგრადი ურბანული მობილობა, KFW-ს სესხი, რომლითაც ხდება სატრანსპორტო პროექტის განხორციელება, კერძოდ, ჭკვიანი სისტემის დანერგვა; თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მეტროსადგურების რეაბილიტაციას, რაც დაიწყო გარკვეული პერიოდის წინ და ითვალისწინებს 12 მეტროსადგურის რეაბილიტაციას და ასევე, ახალი, 97 ერთეული მეტროს ვაგონის შესყიდვას, რასაც 30000000 ლარით აფინანსებს აზიის განვითარების და ინვესტიციების ბანკი. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა 2025 წელს განსახორციელებელ რამდენიმე მსხვილ პროექტზე: გარდამავალი პროექტი არის 200 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსის შეძენა, რომელიც შედგება ორი ხელშეკრულებისგან, პროექტის განხორციელება დაიწყო გასულ წელს, ძირითადი ნაწილის დაფინანსება მოხდა მიმდინარე და წინა წლის ბიუჯეტებიდან, თუმცა, მომდევნო წელს ამ მიმართულებით ხარჯი იქნება კიდევ 145000000 ლარი; 18 მეტრიანი ავტობუსების მომსახურებისთვის შესაბამისი ავტობაზის მშენებლობის პროექტი, რომელიც უნდა დასრულდეს მომავალი წლის პირველ ნახევარში, რისთვისაც დაიხარჯება 16000000 ლარი, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის ჯამური ღირებულება არის 60000000 ლარი და ძირითადი ნაწილი უკვე დაფინანსებულია მიმდინარე და გასული წლების ბიუჯეტებიდან; ვერის პარკის რეაბილიტაცია, რომელიც ჯამში ჯდება 23500000 ლარი, თუმცა, მომდევნო წლის საბიუჯეტო ხარჯი გათვალისწინებულია 13500000 ლარით; სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 10000000 ლარი; ხუთი ბაღის მშენებლობა, რისთვისაც განსაზღვრულია 11700000 ლარი; ნარიყალას ციხის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 7900000 ლარი; ჭადრაკის სასახლის რეაბილიტაციისთვის, რომელიც 2025-26 წლების გარდამავალი პროექტია, მომავალ წელს განსაზღვრულია 7000000 ლარი, რითიც განხორციელდება ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო შემდგომში მოხდება მისი სრული რეაბილიტაცია; სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციის მიმართულებით გამოყოფილია 20000000 ლარი; დასრულდება კადეტთა კორპუსის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, კერძოდ, N46, რისთვისაც გათვალისწინებულია 10000000 ლარი; რუსთაველის გამზირის და ჭავჭავაძის გამზირიდან ბაგებამდე მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 42000000 ლარი და გარდა ამისა,

აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწისქვეშა ურნების და კონტეინერების განთავსებისა და გარე განათებისთვის გათვალისწინებულია 14000000 ლარი; წყნეთის გზატკეცილზე, ფერდს აქვს პრობლემა და ესაჭიროება გამაგრებითი სამუშაოები, რისთვისაც გათვალისწინებულია 8700000 ლარი. საუბრის ბოლოს, ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებული არის ის ძირითადი მიმართულებები, რაზეც გათვალისწინებულია თბილისის 2025 წლის ბიუჯეტი და მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ყურადღებისთვის.

საკრებულოს წევრებმა, თბილისის მერის მოხსენებასთან დაკავშირებით, გააკეთეს შეფასებები და კითხვებით მიმართეს კახა კალაძეს.

ლევან არველაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს საინტერესო ანგარიშისთვის და ისაუბრა 2017 წლიდან დღემდე განვლილ პერიოდზე და იმაზე, თუ რა განხორციელდა დედაქალაქში კახა კალაძის თბილისის მერად არჩევის შემდეგ. განაცხადა, რომ 2017 წელს დედაქალაქის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 843000000 ლარს, ხოლო დღევანდელი ბიუჯეტი წარმოადგენს 1983000000 ლარს, რაც ნიშნავს იმას, რომ თბილისის მერის და მისი გუნდის მუშაობის შედეგად, ბიუჯეტი 2.5-ჯერ არის გაზრდილი. დეტალურად ისაუბრა თუ რა თანხები იყო გათვალისწინებული 2017 წელს და რა თანხებია დღეს გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორებიცაა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღდგენა; ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა; ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება; განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და აღნიშნა, რომ თითოეული მიმართულებით დაფინანსება საგრძნობლად გაზრდილია. ლევან არველაძემ ისაუბრა თბილისის 2025 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტზე და აღნიშნა, რომ წინა წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, 220000000 ლარით არის გაზრდილი და ამასთანავე, უცვლელი რჩება პრიორიტეტები - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება, სატრანსპორტო რეფორმა, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა და სხვა ძირითადი მიმართულებები. განაცხადა, რომ 2025 წლის ბიუჯეტი პასუხობს ქალაქის განვითარებისთვის საჭირო გამოწვევებს და დარწმუნებულია, რომ დროთა განმავლობაში თბილისის დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობა, ქალაქის განვითარების კუთხით, უფრო პოზიტიურად იქნება შეფასებული. საუბრის ბოლოს, განაცხადა: „ჩვენი გუნდის მთავარი მიზანია, თბილისი იყოს სუფთა, უსაფრთხო, კომფორტული და მოწესრიგებული ქალაქი“.

ოთარ გრიგოლიამ გამოსვლა დაიწყო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებით და განაცხადა, რომ სურს, ქვეყნის პრეზიდენტმა იცოდეს, თუ რა არის თბილისის საკრებულოს უმრავლესობის პოზიცია - „ჩვენ, რეალურად გადავიარეთ ქვეყნის გადატრიალების მცდელობა და ეს იყო ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი მცდელობა ყველა იმ დრამატურგიის და სცენარის შესაბამისი, რაც აქამდე გვინახავს სხვა ქვეყნებში. სამწუხაროდ, ამის შეფასება ადეკვატურად არ მომხდარა ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მხრიდან, თუმცა, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში, ასეთი შეფასებები გვექნება. თავიდანვე განწირული იყო ეს მცდელობა დამარცხებისთვის, თუმცა, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რაც შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ, არის ის, რომ ამ მცდელობებმა გამოიწვია საზოგადოებაში ძალიან დიდი პოლარიზაცია და გააჩინა მტრობის ბზარი, რასაც ხელს უწყობს ჩვენი, აწ უკვე ყოფილი, პრეზიდენტი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც თავისი მოღვაწეობის ბოლო წელს აბსოლუტურად არალეგიტიმური ადამიანი იყო იმიტომ, რომ ის აირჩიეს სხვა პოლიტიკის და მიზნებისთვის და რასაც აკეთებდა ბოლო პერიოდში, აბსოლუტურად განსხვავებული იყო, ხოლო ვინც ახლა მას მხარს უჭერს, მათ საქართველოს ბოლო პრეზიდენტი არ აურჩევიათ... მე, დღეს, განვიხილავ ჩვენი ქვეყნის მთავარ საფრთხედ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს და მიმაჩნია, რომ პროცესი, რასაც ის დღეს უძღვება, არის მხოლოდ ქვეყნის დაზიანებაზე და ქვეყნის კონფლიქტში ჩართვაზე ორიენტირებული - ქალბატონი პრეზიდენტი დღეს დადის ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან და ითხოვს ქვეყნის დასანქცირებას, მიღწეული შედეგების გაუქმებას და ზოგადად, ქვეყნის დაზიანებას... თავისთავად ცხადია, არავის არ მიეცემა ქვეყნის გადატრიალების საშუალება

იმიტომ, რომ სახელმწიფო არის ძლიერი, ყველა ინსტიტუტი მუშაობს გამართულად და არავის მიეცემა საშუალება 1990-იან წლებში დააბრუნოს ქვეყანა". ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა ბოლო რვა წელზე და აღნიშნა, რომ 2017 წელს, როდესაც თბილისის ხელისუფლებაში მოვიდა დღევანდელი გუნდი, იყო სხვა რეალობა და თბილისის ბიუჯეტი იყო რვაასი მილიონი, რომელიც 3-ჯერ გაიზრდება მომდევნო წლის განმავლობაში, თუმცა, მთავარი არის არა ბიუჯეტი, არამედ ის გამზედაობა, რა პროექტებსაც შეეჭიდა მუნიციპალიტეტი კახა კალაძის მეთაურობით - ქალაქის მერის, რომელმაც გაბედა და გააკეთა ჭავჭავაძის გამზირი, ქეთევან დედოფლის გამზირი, წერეთლის გამზირი, რასაც მოჰყვა „ენით აღუწერელი" და დაუსაბუთებელი კრიტიკა, თუმცა, ჩვენ ვანახეთ ქალაქის განვითარების ახალი მოდელი, რომელიც არის მაგალითი არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებისთვის, არამედ სხვადასხვა რეგიონებისთვისაც. დღევანდელმა ხელისუფლებამ ასევე, ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა განათლების მიმართულებით - საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, საქართველოში არცერთი ბაღი არ აშენებულა და მარტო თბილისში 30-ზე მეტი ბაღი აშენდა, რის შედეგადაც ათობით ათას ბავშვს გაუჩნდა და გაეზარდა განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ თბილისის მერის ბოლო წლების მოღვაწეობის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი და ძალიან დიდი გამარჯვება არის ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტი, რადგან 3-5 წლის პერსპექტივაში, ავარიულ კორპუსებში მაცხოვრებელი ადამიანები უსახლკაროდ დარჩებოდნენ და შესაბამისად, ჩვენ ასობით ოჯახი გადავარჩინეთ უსახლკარობას. ეს არის ძალიან მაგარი პროექტი არა მარტო ჩვენი რეგიონისთვის, არამედ აღმოსავლეთ ევროპისთვისაც, რადგან ასეთი ტიპის სოციალური პროექტი ბევრ ქვეყანაში არ განხორციელებულა. ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა სატრანსპორტო რეფორმაზე და განაცხადა, რომ 2017 წელს წარმოუდგენლად ჩანდა ქალაქში არსებული ავტოპარკის არათუ გაზრდა, არამედ ჩანაცვლებაც კი, თუმცა, თბილისში განხორციელდა სატრანსპორტო რეფორმა, რის შედეგადაც დღეს, პრაქტიკულად, გვაქვს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ავტოპარკი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით არა მხოლოდ ფინანსური, არამედ, ძალიან დიდი ადამიანური რესურსიც ჩაიდო, რისთვისაც მადლობა გადაუხადა, ყველა იმ ადამიანს, ვინც, ქალაქის მერის მეთაურობით, გაბედა და რეფორმა აქამდე მიიყვანა. აქვე აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, ქალაქში ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა, მათ შორის, მოძველებულია საბინაო ფონდი, რომელსაც სჭირდება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და ამასთანავე, აუცილებელია, რომ ამბიციურად დაწყებული სატრანსპორტო რეფორმა ასევე ამბიციურად დასრულდეს. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს, მერის მოადგილეებს და თბილისის მთავრობის წარმომადგენლებს იმისთვის, რომ დღეს გვაქვს ბევრი სასაუბრო და საამაყო პროექტი.

კონსტანტინე ზარნაძემ მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს არა მხოლოდ იმისთვის, რასაც ჩვენი ქალაქისთვის აკეთებს, არამედ იმისთვისაც, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის აკეთებს, როგორც პოლიტიკური ლიდერი, რადგან გასული 2-3 წლის მანძილზე, ყველამ დაინახა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო „მყარად, ორ ფეხზე დგომა" იმისათვის, რომ ქვეყანა გადარჩენილიყო, როგორც ეკონომიკურ, ასევე, ფიზიკურ განადგურებას, რისი ნათელი მაგალითიც არის თუნდაც ორი ფაქტი: ერთი, რაც ეკონომიკურად გაგვანადგურებდა და რაზეც სერიოზულად აპელირებდნენ ჩვენი ოპონენტები, იყო სანქციების დაწესება, რაც ქვეყანას შეიყვანდა ისეთ ჩიხში, საიდანაც გამოსვლა ძალიან რთული იქნებოდა წლების განმავლობაში და მეორე, რაც შეეხება უსაფრთხოებას და ფიზიკურ განადგურებას, ეს იყო ის, რომ პირდაპირ ჩარტერულ ფრენებს ითხოვდნენ ჩვენი მოხალისეების და მებრძოლების უკრაინაში გასაგზავნად. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებების მიღებას სჭირდებოდა ძალიან დიდი და ძლიერი გამზედაობა, რადგან ის ბულინგი და შეტევა, რომელიც მოდის ჩვენი ოპონენტებისგან, ეხება არა მხოლოდ პოლიტიკურ ლიდერებს, არამედ მათ ოჯახებსაც, რაც ასმაგად და ათასმაგად რთული ასატანია. განაცხადა, რომ ეამაყება, იყოს იმ გუნდის წევრი, რომელმაც არ დაუშვა ის ფატალური შედეგები, რაც, არასწორი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად დაუშვეს ამ ქვეყნის ძველმა ხელისუფლებებმა და მიმართა კახა კალაძეს: „დარწმუნებული იყავით, რომ ამ განვლილ პერიოდს მომავალი თაობა აუცილებლად შეაფასებს სწორად და ის რამდენიმე

ასეული ადამიანი, რომელიც ე.წ. ბულინგს ახორციელებს, ნამდვილად არ არის ჩვენი ქვეყნის ჯანსაღი ნაწილი". განაცხადა, რომ ქართველები ემოციური ხალხი ვართ და როდესაც ეს ემოცია გადაივლის, ჯანსაღი საზოგადოება დადგება ისევ იქ, სადაც დღევანდელი ხელისუფლება დგას მთელი ამ დროის განმავლობაში და ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანად, ამაყად და თავაწეული გაივლის იმ ბეწვის ხიდს, რომელზეც დღეს ატარებენ პოლიტიკური ლიდერები. კონსტანტინე ზარნაძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა თბილისის მერს და მთავრობის წევრებს, რომლებმაც, მისი თქმით, ძალიან დიდი შრომა გაწიეს ჩვენი ქალაქის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა არეალების გაზრდა, სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში. აქვე აღნიშნა, რომ გლდანის რაიონში, სოფელი გლდანის და შემოერთებული ტერიტორიების ძალიან დიდ ნაწილზე არის დასახლება, სადაც მამა-პაპისეული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას ვერ ახორციელებენ იქ მაცხოვრებელი ადამიანები და ითხოვა, რომ თუ შესაძლებელი იქნება, შედგენილი არეალების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, თბილისის მერიამ გეგმაში იქონიოს დარჩენილი არეალების სისტემურ ნაწილში გატარება.

გურამ ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, ისევე, როგორც უკანასკნელი წლების განმავლობაში, სპორტული მიმართულებით განხორციელდა ძალიან ბევრი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის, აღსანიშნავია მრავალფუნქციური ცენტრების კონცეფცია, რაც სიახლეა ჩვენს ქვეყანაში და ძალიან კარგი პროექტი გამოვიდა - ასობით სტადიონი, რომლის რეაბილიტაცია-მშენებლობაც მოხდა და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდებს ეხმარება ერთი მხრივ, განათლების მიღებაში და მეორე მხრივ, დღეს არსებული სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფაში, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული პროგრამაა „ისწავლე და დასაქმდი". განაცხადა, რომ ბევრი ისეთი პროექტი განხორციელდა, რომლებსაც სჭირდებოდა კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება, რის შედეგსაც თითოეული ჩვენგანი ვხედავთ და მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს, მთავრობის წევრებს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც მონაწილეობდა ამ პროცესებში. გურამ ოქროპირიძემ ისაუბრა მწვრთნელთა მხარადაჭერის პროგრამაზე, სადაც დღეს არის 350-მდე მწვრთნელი, რომლებსაც, კვალიფიკაციის გათვალისწინებით, წარადგენენ შესაბამისი ფედერაციები და აღნიშნა, რომ ისინი უსასყიდლოდ ავარჯიშებენ ბავშვებს და ახალგაზრდებს სპორტის სხვადასხვა მიმართულებით და შესაბამისად, მათ ანაზღაურებას უზრუნველყოფს თბილისის მერია, თუმცა, ბოლო პერიოდში ამ ადამიანებისთვის ვერ მოხერხდა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა და დაინტერესდა, ბიუჯეტის მომდევნო ზრდის დროს, შესაძლებელი იქნება თუ არა აღნიშნულის გათვალისწინება, რასაც დასჭირდება დაახლოებით 250-260 ათასი ლარი.

გივი ჩხარტიშვილმა თბილისის მერს და მთავრობის წევრებს მადლობა გადაუხადა დედაქალაქში გაწეული საქმიანობისთვის და განხორციელებული პოექტებისთვის. აღნიშნა, რომ დიღმის მასივის III კვარტალში საცურაო აუზის მშენებლობისთვის წინა წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 5000000 ლარი, თუმცა, ვერ მოხერხდა პროექტის დაწყება, რადგან მას გასავლელი ჰქონდა ექსპერტიზა, ხოლო ექსპერტიზის გავლის შემდგომ, თანხები ამოწურული იყო და იქიდან გამომდინარე, რომ 2025 წლის ბიუჯეტში აღნიშნულისთვის თანხები არ არის გამოყოფილი, დაინტერესდა შესაძლებელია თუ არა, რომ მომავალ წელს მოხდეს პროექტის დაწყება. გივი ჩხარტიშვილი გამოეხმაურა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და კახა კალაძეს, როგორც „ქართული ოცნების" გენერალურ მდივანს და პოლიტიკურ ლიდერს, მადლობა გადაუხადა იმ „სიმტკიცისთვის და ღირსებისთვის", რომელიც ქართველ ხალხს შეუნარჩუნეს მან და „ქართული ოცნების" ლიდერებმა და განაცხადა, რომ ქართველი ხალხი კარგად აფასებს, თუ რას მოღვაწეობს „ქვეყნის გამყიდველი ოთხი პოლიტიკური პარტია", რომლებიც ვერ ასრულებენ უცხოეთიდან წამოსულ დავალებებს, რადგან მათი პოლიტიკა ქართველი ხალხისთვის მიუღებელია. საუბრის ბოლოს, განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, გონიერებით, სიმტკიცით და ღირებულებებით გავაგრძელებთ ჩვენი ქვეყნის განვითარებას და ევროპისკენ ღირსეულ წინსვლას".

ნინო რუხაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს დეტალური ანგარიშისთვის და აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტი უკანასკნელი წლების განმავლობაში მუდმივად ავლენს ზრდის

ტენდენციას, აუმჯობესებს საკუთარ ისტორიულ მაქსიმუმს და წელსაც, 2025 წლის ბიუჯეტმა მიაღწია ძალიან შთამბეჭდავ ნიშნულს - ორ მილირდ ლარს. მისი თქმით, როდესაც ამ ციფრს უყურებ, ერთადერთი რამაც შეიძლება სინანული გამოიწვიოს, არის ის, რომ ეს მონაცემები შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო მაღალი, რომ არა უკანასკნელი წლების მანძილზე ის ხელოვნურად გამოწვეული რყევები, რასაც ამ ქვეყანაში იწვევენ რადიკალური ოპოზიციური ძალები. მისი თქმით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკამ დაკარგა დაახლოებით ხუთ მილიარდ ლარამდე და ეს არის ის, რაც რეალურად წაართვა ოპოზიციამ ქვეყანას და მის მოსახლეობას და არა ევროპული მომავალი, რომლის უზრუნველსაყოფადაც „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა ძალამ მიაღწია ყველაზე ხელშესახებ შედეგებს და განაცხადა, რომ ეს ფინანსური დანაკარგი შეიძლებოდა მოხმარებოდა ქვეყნის წინსვლას და მისი მოქალაქეების, მათ შორის, თბილისელების კეთილდღეობას. ნინო რუხაძემ აღნიშნა, რომ სისტემური რეგისტრაციის პროცესი, რაც დაიწყო შარშან არის უმნიშვნელოვანესი ინიციატივა, რომელიც აგვარებს ათწლეულების განმავლობაში „ჩიხში მოქცეულ პრობლემას“, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია 20000-მდე განაცხადი, პრობლემა ბოლომდე არ არის გადაჭრილი და კიდევ არის დარჩენილი არეალები არა მხოლოდ გლდანის, არამედ საბურთალოს რაიონშიც და შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გადადგმული იქნას შემდგომი ნაბიჯები.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ 2017 წელს, როდესაც თბილისის ხელისუფლებაში მოვიდა დღევანდელი გუნდი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შვიდი პოლიტიკიდან იყო სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც დღეს არის მოქმედებაში და განახლებული ავტობუსების გარდა, მთლიანად შეცვლილია მიკროავტუსების პარკი. ამასთანავე, თითქმის 2 წელია მგზავრობის გადახდის ერთიან სისტემაში, ავტობუსთან და მეტროსთან ერთად, ჩართულია მიკროავტობუსიც, რამაც დიდი კრიტიკის მიუხედავად, გამოიღო შედეგი. რაც შეეხება მეტროპოლიტენს, აღსანიშნავია, რომ: 562 კმ. ძალური კაბელის შეცვლა და 32 ცალი ახალი საგვირაბო ვენტილატორი, შთამბეჭდავი ციფრებია; ძველი ავტომატური საკონტროლო პუნქტები შეცვლილია ახალი თანამედროვე მოწყობილობებით, რაც ზრდის უსაფრთხოებას; ესკალატორების და ვაგონების კაპიტალური შეკეთება უწყვეტი პროცესია. აქვე აღნიშნა, რომ მეტროპოლიტენის რეკონსტრუქციისთვის, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილია 475000000 ევრო, რომელიც მოხმარდება, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ვაგონების, ჯამში 45 მეტროს მატარებლის შესყიდვას, რომელთაგან 13 ერთეული იქნება ოთხვაგონიანი, ხოლო 32 ერთეული - ხუთვაგონიანი და ახმეტელი-ვარკეთილის ხაზის გამოყოფას. შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ 2022 წელს გამოცხადებული მეტროპოლიტენის ტენდერი, გასაგები მიზეზების გამო, ჩავარდა და დაინტერესდა რა იგეგმება ამ მიმართულებით 2025 წელს და ასევე, დაინტერესდა, როგორი გრაფიკით მოხდება ავტობაზის მშენებლობა 18 მეტრიანი ავტობუსებისთვის.

ნათია მოდებაძემ კახა კალაძეს მადლობა გადაუხადა ყველა იმ პროექტისთვის, რომელიც მისი მერად ყოფნის შვიდ წელიწადში განხორციელდა და განაცხადა, რომ ვისაც დანახვა უნდა, კარგად ხედავს დასუფთავებულ, მოწესრიგებულ და უსაფრთხო ქალაქს, გამართულ ინფრასტრუქტურას და სატრანსპორტო მომსახურებას, გამაგრებულ ავარიულ შენობებს, უბინაოდ დარჩენილი ასობით ადამიანისთვის გადაცემულ ბინებს, ათობით აშენებულ და რეაბილიტირებულ საბავშვო ბაგა-ბაღებს, სასწავლო და დასაქმების პროგრამებს, პროგრამებს ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით. აღნიშნა, რომ თბილისის მერმა ვრცლად ისაუბრა დედაქალაქში განხორციელებულ პროექტებზე და მიმართა ოპოზიციურად განწყობილ მოქალაქეებს: „არცერთი ამ პროექტისთვის მხარი არ დაუჭერია არცერთ საკრებულოს წევრს ოპოზიციიდან და უფრო მეტიც, საკითხის განხილვაშიც არცერთი არ იყო ჩართული.“ ნათია მოდებაძემ ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და განაცხადა, რომ, აქციაზე მყოფ ადამიანებს „არ ადარდებთ სახელმწიფო და სამშობლო“, რადგან ვერაფრით გაამართლებს „გადამწვარ რუსთაველს“ და „გაძარცვულ სავაჭრო ობიექტებს“, ევროპას ვერ დაარქმევს „შეურაცხყოფილ პოლიციელებს“ და არ სჯერა აქციაზე მდგომი ადამიანების

პროტესტის გულწრფელობა, რადგან, მისი აზრით, მათ რომ სამშობლო მართლა უყვარდეთ, გვერდით დაუდგებოდნენ არა „2008 წლის შემოქმედებს“, არამედ, ქართულ სახელმწიფოს.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ არ აქვს კითხვები, რადგან ბიუჯეტის შემოტანა საკრებულოში იყო „ძალიან ცივილიზებული“ - პირველი შეხვედრა მოხდა სამსახურის უფროსებთან, მათ მოადგილეებთან და თანამშრომლებთან, რომლებმაც მისთვის საინტერესო ყველა კითხვას გასცეს პასუხი, რის შემდეგაც საკრებულოში მოვიდა ირაკლი ხმალაძე და უპასუხა ყველა იმ კითხვას, რომელიც სცილდებოდა სამსახურის უფროსების კომპეტენციას. ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ ის არის ბოლო წლების ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც აწესრიგებს არა მხოლოდ ქუჩაში მოძრაობის წესებს, არამედ ეს არის „ჩვენს ტვინებში ახალი, ევროპული ფილოსოფიის შემოტანა“ იმიტომ, რომ ამ ქალაქში არავის ახსოვდა ქვეითად მოსიარულე, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და „ვისაც როგორ უნდოდა, ისე დადიოდა“, ხოლო დღეს, ეს ყველაფერი მოწესრიგდა. ნიკოლოზ კახეთელიძემ ისაუბრა ასევე, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით განხორციელებულ პროექტებზე და აღნიშნა, რომ დაზარალებულებს დაკარგულის ანაზღაურების შესაძლებლობა და ნორმალური ცხოვრების შანსი გაუჩნდათ. მისი თქმით, ეს არ იყო კახა კალაძის ვალი მათ წინაშე, ეს არის ამ ადამიანებთან თანაზიარობის მომენტი, რომელიც თბილისის მერს ყოველთვის ჰქონდა და იგივე შეიძლება ითქვას ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროექტზეც, რაშიც აქტიურად არიან ჩართულები თავად მოქალაქეები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ესეთი დამოკიდებულება ქალაქთან და ერთმანეთთან არის ევროპული დამოკიდებულება და ის ამაყობს, რომ თბილისს ჰყავს კახა კალაძისნაირი მერი, რომელსაც წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრები ყოველთვის იქნებიან მის გვერდით.

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, საკრებულოს წევრებმა, დღეს, კიდევ ერთხელ, მოისმინეს ქალაქის განვითარების ძალიან შთამბეჭდავი და ამბიციური გეგმები და განაცხადა, რომ ის მიღწევები, რომელიც თბილისს აქვს, თვალსაჩინოა და ყოველთვის მიიღწეოდა ზუსტად ისეთ ნეგატიურ პოლიტიკურ ფონზე, როგორსაც, სამწუხაროდ, დღეს აქვს ადგილი ჩვენი ქალაქის და ქვეყნის ქუჩებში - 2017 წლიდან, თითოეულ ჩვენგანს დაპირისპირების და ბოიკოტის რეჟიმში გვიწევდა ქალაქის განვითარებაზე ზრუნვა. ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და განაცხადა, რომ ის, რაც დღეს ხდება, დაუშვებელია. დაუშვებელია რადიკალიზმი, რადგან ის ანგრევს ჩვენს ქალაქს და ქვეყნის ერთიანობას, თუმცა, ეს არ არის ხელისუფლების ბრალი, რადგან „ქართული ოცნების“ გუნდი არაერთხელ ყოფილა ინიციატორი რადიკალური ოპოზიციონერები და დესტრუქციული ძალები ჩაერთო საქმიან რეჟიმში, მაგრამ ისინი ყოველთვის ირჩევდნენ ბოიკოტს და დესტრუქციას და ახლა, ყველასთვის ცნობილია, რომ ისინი არიან არა საქართველოს, არამედ, სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებლები. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა: „ჩვენი საერთო მიზანია ჯერ ქვეყნის გადარჩენა და მერე ამ გადარჩენილი ქვეყნით გაწევრიანება ევროკავშირში და გაწევრიანება იქ, სადაც მოგვინდება. ეს პროცესი უნდა გავიაროთ ნაკლები ზიზღით, ურთიერთპატივისცემით და ერთიანობით. თუკი ეს ამ ეტაპზე რადიკალურ ოპოზიციონერებთან არ ხერხდება, მე მინდა მივმართო ჩვენს თანამოქალაქეებს, რომ გაიაზრონ ჩვენი გადადგმული ნაბიჯები - არცერთი ნაბიჯი არ გადადგმულა იმისთვის, რომ ჩვენ დავშორებოდით დიდ ევროპულ ოჯახს. უნდა გავიაზროთ ის, რომ ხვალ და ზეგ ეს ქვეყანა ჩვენ ერთობლივად უნდა ვაშენოთ. მინდა გისურვოთ ბედნიერი 2025 წელი და ეს ქალაქი ყოველთვის იქნება გამარჯვებული ხალხის ქალაქი“.

ნინო ვარდოსანიძემ კახა კალაძეს მადლობა გადაუხადა წარდგენილი ანგარიშის და წარმატებული საქმიანობისთვის და განაცხადა, რომ საინტერესო იყო სამომავლო გეგმებზე საუბარი, რაც იმ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას გულისხმობს, რომლებიც გათვალისწინებულია მომავალი წლის ბიუჯეტით. ისაუბრა მიმდინარე მოვლენებზე და აღნიშნა, რომ ჩვენ ვხედავთ საკრებულოს ოპოზიციისგან დაცლილ დარბაზს, იმ ოპოზიციისგან, რომელიც, თავის მხრივ, დაცლილია ყოველგვარი ჯანსაღი კრიტიკისგან და სახელმწიფოებრივი ქმედებებისგან. თვეზე მეტია, თვალს ვადევნებთ ქუჩაში მიმდინარე

პროცესებს და საზოგადოებაში ქაოსის და მღელვარების შექმნის მცდელობას, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე ვიხილეთ არეულობის მცდელობები, რასაც, სამწუხაროდ, მოჰყვა რამდენიმე ისეთი შემთხვევა, რომლის ნახვაც არავის ანიჭებს სიამოვნებას. ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ არავინ ფიქრობს, თითქოს პროცესები არ იმართება და მოვლენები თუ ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა ოპოზიციის მიღმა ვითარდება, რისი ერთ-ერთი დამადასტურებელიც არის ის მასალები და მტკიცებულებები, რაც ინახებოდა მათ ოფისებში. მისი თქმით, ამ ძალების მხრიდან გამუდმებით ვხედავთ რეალობის საპირისპიროდ წარმოჩენის კამპნიას, ორმაგი სტანდარტებით საზოგადოების აზრზე მანიპულირებას და ადამიანების დაშინებას ყველა იმ მეთოდის გამოყენებით, რომლებსაც იყენებდნენ ხელისუფლებაში ყოფნის დროს - სამართალდამცავს უწოდებენ ნიღბიანს, როგორც დამნაშავეს, თავად კი, სახედაფარულები, ხშირად სჩადიან დანაშაულებრივ ქმედებებს; გვესაუბრებიან სამშობლოს ღალატზე, თავად კი სხვების დავალებებს ასრულებენ; იჭრებოდნენ ტელევიზიებში გუშინ, იჭრებიან ტელევიზიებში დღეს; გვახსოვს, კაბინეტებიდან გვიმახსოვრებდნენ, ახლა ოპოზიციის რიგებიდან იმუქრებიან; ბიზნესის რეკეტი ბიზნესის ბოიკოტით ჩაანაცვლეს; ისმის ბრალდებები ბულინგზე და აგრესიაზე მაშინ, როცა ბულინგი მათი დამკვიდრებულია; იბრძვიან დემოკრატიის სახელით და ფეხქვეშ თელავენ ყველა განსხვავებულ აზრს; რაც ყველაზე მთავარია, მომავალი თაობის სახელით, ბავშვებს მახინჯ მაგალითს აძლევენ. რეალურად კი ვხედავთ, რომ ოპოზიციის ფსევდო ლიდერები საზოგადოების წინაშე გამოსვლასაც კი ვერ ბედავენ, რადგან თავადაც იციან საკუთარი რეიტინგიც და წარსული დანაშაულებებიც. ერთადერთი, რაშიც ისინი ნამდვილად წარმატებით ლიდერობენ, ეს არის ხალხის მოტყუება, უკულტურობა, ბულინგი და ადამიანებს შორის სიძულვილის დათესვა, რასაც საზოგადოების დიდი ნაწილი მოთმინებით უყურებს და საკუთარ აზრს მშვიდად აფიქსირებს არჩევნებზე და 26 ოქტომბერსაც დააფიქსირდა ეს არჩევანი, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს და ჩვენს ქვეყანაში აუცილებლად იქნება მშვიდობა. ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ ვხედავთ დღესასწაულების ჩაშლის და ბავშვებისთვის ზეიმის წართმევის მცდელობებს, განსაკუთრებით იმ ადამიანების თაოსნობით, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებს რუსთაველზე კონცერტით ხვდებოდა, თუმცა, ეს მცდელობები დროებითი და ფუჭია, რადგან დარწმუნებულია, რომ არეულობის გეგმა შეუსრულებელი დარჩება, მაგრამ აუცილებლად შესრულდება ყველა ის დაპირება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მისცა თავის ამომრჩეველს. საუბრის ბოლოს, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარმატებული მომავალი წელი, ქვეყანას მშვიდობა და განვითარება, ხოლო ქალაქს ახალი გამარჯვებები უსურვა.

ლევან ჯაფარიძემ განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, დადებითის და პოზიტივის მიღმა, საუბარი უწევს იმ მოვლენებზე, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება და მადლობა გადაუხადა ხელისუფლებას, რომელიც დღეს დიდი სიმტკიცით და სითამამით იბრძვის იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც წლებია ცდილობენ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ ავანტიურაში ჩათრევას. მან ასევე, მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს, რომელიც მოთმინებით უყურებს მიმდინარე მოვლენებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათ აქვთ ნდობა იმ ხელისუფლების მიმართ, რომელიც 26 ოქტომბერს დიდი უპირატესობით მოიყვანა ქვეყნის სათავეში. აქვე განაცხადა, რომ დარწმუნებულია, „ქართული ოცნების“ გუნდი მათ ამ ნდობას არ გაუმტყუნებს და ზუსტად ისეთი მომავალი ექნებათ, როგორსაც დაპირდა. ისაუბრა 2025 წლის ბიუჯეტზე, აღნიშნა, რომ ციფრები თავისთავად საუბრობენ ყველაფერზე და წლების მანძილზე წარმოებულმა სწორმა პოლიტიკამ და დასახულმა პრიორიტეტებმა მისცა თბილისის ხელისუფლებას იმის შესაძლებლობა, რომ განეხორციელებინა ძალიან ბევრი სწორი და საჭირო პროექტი, რაში თანამონაწილეობაც მას აბედნიერებს და მოხარულია, რომ ქალაქის მერის გვერდით, საკრებულოს წევრებმა შეძლეს ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება და ამ ქალაქისთვის „ახალი სულის ჩაბერვა“. ლევან ჯაფარიძემ ასევე, ისაუბრა კრწანისის რაიონში, გორგასალზე მიმდინარე ალეის პროექტზე, რომლის ფარგლებშიც უკვე განხორციელდა რეაბილიტაციის ნახევარი, იმედი გამოთქვა, რომ 2025 წელს დასრულდება აღნიშნული პროექტი და 300 არაგველის სკვერი სრულიად რეაბილიტირებული იქნება.

კახაბერ ლაბუჩიძემ ისაუბრა მიმდინარე მოვლენებზე და განაცხადა, რომ სურს საქართველოს მოსახლეობას გაახსენოს იმ ადამიანის სიტყვები, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე დღე იქნება საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც მთელ მსოფლიოს აცნობა, რომ დღეს, ის არის ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენელი საქართველოს ხელისუფლებაში, რაც, მისი თქმით, არის „უტიფარი ტყუილი" იმიტომ, რომ მან მუნიციპალიტეტების ასობით მაჟორიტარს და პროპორციული სიით გასულ ასობით ადამიანს ხაზი გადაუსვა ისე, თითქოს საერთოდ არ გვქონდეს ეს ინსტიტუტები. მისი თქმით, დედაქალაქის ძალიან ბევრი მაცხოვრებელი ელოდება დღევანდელ დაპირებებს, რომლებიც შესრულდება მომდევნო წლის განმავლობაში, რადგან დედაქალაქი ყოველ წელს იმაზე უკეთესი და ევროპულია, ვიდრე იყო წინა წელს - ყველა გამზირი, ქუჩა და თუნდაც შუქნიშანი, რომელიც დედაქალაქში კეთდება არის უმაღლესი ევროპული სტანდარტის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის 30-მდე საბავშვო ბაღი, რომელიც აშენდა კახა კალაძის მერობის პერიოდში, რადგან ნებისმიერი ევროპული დედაქალაქი იამაყებდა ამ ბაღებით და იქ არსებული გარემოთი. აქვე, აღნიშნა, რომ 2024 წელს 15%-ით გაიზარდა საბავშვო ბაღებში დასაქმებულების ანაზღაურება და 2025 წელსაც დაგეგმილია ხელფასების ზრდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ ადამიანებისთვის. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს ისტორიული საბაგირო გზის აღდგენისთვის, რომელიც დაუბრუნდა დედაქალაქს და კიდევ ერთი ღირშესანიშნაობის სახით შეემატა თბილისს, აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი ეტაპია გავლილი მეტრო სამგორის ზედა ბაქანი-ვაზისუბნის საბაგირო გზის საპროექტო სამუშაოების კუთხით და დაინტერესდა, როდის იგეგმება პროექტის დაწყება.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, როგორც ქალაქის მერისგან, ასევე, საკრებულოს წევრებისგან გაკეთდა შეფასებები და განაცხადა: „ღირს კი ამდენი საუბარი იმ ადამიანებთან დაკავშირებით?.. ძალიან მოკლედ რომ ვთქვა და ერთ წინადადებაში რომ ჩავტიო - უბრალოდ, ბავშვებს საახალწლო ნაძვის ხე დაუმალეს. თუ კიდევ არიან ჩვენს საზოგადოებაში ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ კითხვის ნიშანი აქვთ, შეუძლიათ საღამოს გაისეირნონ და ნახონ - ჩვეულებრივი ფარი აქვთ გაკეთებული და ბავშვებს არ შეუძლიათ ნაძვის ხესთან მისვლა, მალავენ ნაძვის ხეს". ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში დაიწყო უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ხუდადოვის ტყის მოდერნიზაციას, რასაც შესაძლებელია დასჭირდეს 1.5-2 წელი და დაინტერესდა, როდის და როგორ იქნება შესაძლებელი ამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეკრეაციული სივრცის პროექტის განხორციელება.

ლევან აბაშიძემ საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით განაცხადა: „ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ საქართველოში ახალი არჩევნები იქნება. დღეს საქართველოს ჰყავს დემოკრატულად არჩეული ხელისუფლება, რომელიც არავის მისცემს იმის საშუალებას, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობის დემოკრატიული არჩევანი ვინმემ, ეს იქნება გარეთ თუ შიგნით, ეჭვქვეშ დააყენოს". აღნიშნა, რომ დღეს დედაქალაქში დიდი და მასშტაბური პრობლემაა ავარიული ლიფტების საკითხი და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა რაიმე იმისთვის, რომ დაჩქარდეს ამ პრობლემის მოგვარება, რადგან დღევანდელი ტემპით ამ პრობლემის მოგვარება რთული იქნება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერის დღევანდელი მოხსენება იყო ძალიან შთამბეჭდავი, კონკრეტული, დეტალური, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მას და განაცხადა, რომ ბუნებრივია, დღეს წარმოდგენილი უამრავი განხორციელებული მასშტაბური პროექტი სახეზეა და ვისაც უნდა დანახვა, ამას აუცილებლად დაინახავს, ხოლო ვისაც არ უნდა, ის არც დაინახავს და ვერც ვერავინ შეაცვლევინებს პოზიციას. მისი თქმით, როდესაც ვსაუბრობთ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე და თითქოს არსებულ კრიზისზე, უნდა ითქვას, რომ დღევანდელი დღე არის იმის მაგალითი, თუ სად არის კრიზისი - კრიზისი დღეს არის ოპოზიციაში და იმ პოლიტიკურ სპექტრში, რომელიც არის დღეს წარმოდგენილი ამ ქვეყანაში. ქვეყანაში კრიზისი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ ვერ შემდგარიყო თბილისის მერის დღევანდელი მოხსნება, თუ ვერ განვახორციელებდით პროექტებს და ვერ დავამტკიცებდით ბიუჯეტს. მისი თქმით, ეს არის გამოგონილი და პარალელური რეალობის შექმნის მცდელობა,

რაშიც, სამწუხაროდ, ჩათრეულია ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის, გულწრფელი ადამიანებიც და განაცხადა: „ამის გადალახვას, რა თქმა უნდა, დასჭირდება გარკვეული დრო, რადგან დღეს ჩვენი ქვეყანა გადის ისტორიულ გზაჯვარედინზე, სადაც, რეალურად, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ვახორციელებთ ჩვენი ქვეყნის უპრეცედენტო სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას - ეს შეუქცევადი პროცესია. რატომ არის ამხელა დაპირისპირება? რატომ არის ამხელა „ნიაღვარი" წამოსული ჩვეენი ქვეყნის და ხელისუფლების მიმართ? სწორედ იმიტომ, რომ კონკრეტულ ადამიანებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ, არ უნდათ დამოუკიდებელი, სუვერენული, ძლიერი და ეკონომიკურად მდგრადი საქართველო. ეს არის მთავარი პრობლემა, მაგრამ ეს აუცილებლად განხორციელდება."

თბილისის მერმა უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კახა კალაძემ სისტემურ რეგისტრაციებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე განმარტა, რომ შერჩეულ 12 გეოგრაფიულ არეალში სისტემური რეგისტრაციები მთავრდება მიმდინარე წელს, რომლის ფარგლებში დაკმაყოფილებული იქნება 27000-მდე განაცხადი, მათ შორის, დღეის მდგომარეობით 16000-ზე მეტ განაცხადზე გაცემულია თანხმობა, ხოლო რაც შეეხება სხვა არეალებს, მომავალი წლიდან ამ მიმართულებით დაიწყება მუშაობა, რათა მთელი ქალაქის მასშტაბით მოგვარდეს ეს პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა და უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში. მწვრთნელების ანაზღაურების გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს ამ ადამიანების დახმარების შესაძლებლობა და, რა თქმა უნდა, ბიუჯეტში გამონახული იქნება შესაბამისი თანხა. დიღმის მასივში საცურაო აუზთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებულ ბიუჯეტში თანხა არ არის გათვალისწინებული, თუმცა, იმედია 2025 წლის ბიუჯეტი გაიზრდება და მომატებული თანხებით შესაძლებელი იქნება პროექტის დაწყება, ხოლო რაც შეეხება დასრულებას, იქიდან გამომდინარე, რომ საკმაოდ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტია, მის სრულად განხორციელებას გარკვეული დრო დასჭირდება. მეტროს ვაგონებთან დაკავშირებით განმარტა, რომ 97 ერთეული ვაგონის შესყიდვაზე უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რომელიც დასრულდება იანვარში და გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის შემდეგ, საზოგადოებას მივაწვდით ინფორმაციას, თუ როდის დაიწყება აღნიშნული ვაგონების მოწოდება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, დაგეგმილია არსებული ვაგონების მთლიანად ჩანაცვლება იმის მიხედვით, თუ როდის გადის ექსპლუატაციის ვადა, რაც გამოწვეულია იმით, რომ დღეის მდგომარეობით ამოწურულია მათი რეაბილიტაციის რესურსი - არსებული მეტროს ვაგონები არ ექვემდებარება შემდგომ რეაბილიტაციას და ეტაპობრივად, მოგვიწევს მათი სრულად ჩანაცვლება, რის შემდეგაც მხოლოდ და მხოლოდ ახალი ვაგონები მოემსახურება დედაქალაქის მოსახლეობას. 18 მეტრიანი ავტობუსებისთვის ავტობაზის მშენებლობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ მიმართულებით სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რომელიც დასრულდება 2025 წელს და გვექნება ახალი, ევროპული, თანამედროვე სტანდარტებით გამართული ავტობაზა. საბაგირო გზებთან დაკავშირებით ახალი პროექტების განხორციელებაზე განმარტა, რომ ჩატარებული კვლევის შედეგად, განსაზღვრულია ორი კონკრეტული მიმართულება, სადაც შესაძლებელია ახალი საბაგირო პროექტის განხორციელება, კერძოდ, ვაზისუბნის და თემქის ხევის მიმართულებები და ამ შემთხვევაშიც, გადაწყვეტილება მიღებული იქნება იმის გათვალისწინებით, თუ როგორი იქნება ბიუჯეტის მატება მომდევნო წლის განმავლობაში. ავარიულ ლიფტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არის ძალიან დიდი გამოწვევა და პრობლემა, რომლის მოგვარების მიზნით, მუნიციპალიტეტი ცდილობს, ამხანაგობების ფარგლებში, მოსახლეობის ჩართულობით და აქტიურობით, განახორციელოს მათი ჩანაცვლება-განახლება, თუმცა, პრობლემის მასშტაბებიდან გამომდინარე, „ეს ზღვაში წვეთია" და ამიტომ მუნიციპალიტეტი მუშაობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა და ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მინიმუმ 2-3 წლის განმავლობაში მოგვცემს შესაძლებლობას, რომ მთლიანად განვაახლოთ ქალაქში არსებული ავარიული ლიფტები. ხუდადოვის ტყესთან

დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან მასშტაბური პროექტი და საუბარია ძალიან დიდ ტერიტორიაზე, რომელიც წლების განმავლობაში იყო „მიგდებული“ და აქედან გამომდინარე, დღეს არის უმძიმესი მდგომარეობა, რადგან იქ არის კონკრეტული ადგილები, რომლებსაც ადამიანები იყენებდნენ ნაგავსაყრელად, თუმცა, ამ მიმართულებით დაწყებულია კონკრეტული სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, დაიწყო ტერიტორიის დასუფთავება-მოწესრიგება, ყველანაირად შეზღუდულია და კონტროლდება ის პროცესები, რაც მიმდინარეობდა ნაგვის დაყრის თვალსაზრისით, პარალელურად დაწყებულია ძირითადი გზის გაყვანის სამუშაოები და გვინდა, რომ ეტაპობრივად განვახორციელოთ ის პროექტი, რომელიც შეიმუშავეს ახალგაზრდებმა, მათ შორის, გადმოსახედებით, საბავშვო ატრაქციონებით, ბუნებრივი ტიპის სასეირნო ბილიკებით და თავისი მასშტაბებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ ეს იქნება არა პარკი, არამედ ტყე-პარკი, სადაც მაქსიმალურად უნდა იყოს შენარჩუნებული ბუნებრიობა, ალბათ 2 წელი დასჭირდება აღნიშნული პროექტის განხორციელებას. საუბრის ბოლოს, კახა კალაძემ განაცხადა, რომ ქალაქში ყველაზე მეტად გვჭირდება რეკრეაციული სივრცეები და სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარკების განახლებას და სკვერების მოწესრიგებას, რაშიც აქტიურად არიან ჩართულები რაიონული გამგეობები, რათა უბნების დონეზე, ყველგან სადაც შესაძლებელია, რეაბილიტაცია ჩაუტარდეს არსებულს და მოეწყოს ახალი რეკრეაციული სივრცეები, რისი კარგი მაგალითია სამგორის რაიონი, სადაც ყველა ხედავს, თუ როგორ სწორად იქნა გამოყენებული კვარტლებს და კორპუსებს შორის არსებული სივრცეები გამწვანებისთვის. აქვე აღნიშნა, რომ ასეთ დროს, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მაცხოვრებლების თანამშრომლობა იქიდან გამომდინარე, რომ განთავსებულია უკანონო შენობა-ნაგებობები, ფარეხები, შემოღობვები, რაც უდიდეს პრობლემას წარმოადგენს და სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის თანამშრომლობით ხდება ამ სივრცეების გამოთავისუფლება და უზარმაზარი მწვანე რეკრეაციული სივრცეების შექმნა, რაც ძალიან კარგია, პირველ რიგში, იქ მცხოვრები ოჯახებისთვის და მუნიციპალიტეტი, რა თქმა უნდა, გააგრძელებს ამ მიდგომას და ბევრ საინტერესო, რეკრეაციულ, მწვანე, დასასვენებელ სივრცეებს შექმნის დედაქალაქში მომდევნო წლების განმავლობაში.

გიორგი ტყემალაძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა კახა კალაძეს და კენჭისყრაზე დააყენა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი